№ 167 19 მარიამობისთვე, შაბათი 1866—1878 19 მარიამობისთვე, შაბათი № 167

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: [illegible] წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და [illegible]

ფასი განცხადებისა: [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. პირველი აგვისტოდამ წლის დამლევამდინ—4 მან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

# საქართველო

## დღიური

⁂ ღვთის მშობლობის წინ ღამ, როდესაც სიონის-სობოროში მლოცავები იყვნენ შეყრილნი, მნათე აქრობდა წმინდა სანთლებს დიდ კანდელზედ, რომელიც ჰკიდია შუა გუმბათზედ საკურთხევლის წინ. ამ დროს კანდელი მოშორდა ჯაჭვს და ერთბაშათ დაეცა სამს მლოცავ-დედაკაცს, რომელთაგან ერთს პირ-და-პირ თავში, რომელიც ძრიელ ატკინა, დანარჩენ ორს იმდენათ არაფერი სტკენიათ. ეს ძვირფასი კანდელი სულ დალეწილა ამ სიმაღლიდამ გადმოვარდნით ქვის იატაკზედ.

⁂ „თფილისის მოამბეში“, 187 №-ში, იწერებიან, რომ ამ თვის 17-ს საღამოს 6 საათზედ მეორე განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში გაარჩიეს უ. ნიკოლაძისა და ცენზურის კომიტეტის პრედსედატელის საქმე, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ პირველმა, ნიკოლაძემ, გამოიხმო მეორე დუელში.

სამართალმა უ. ნიკოლაძე გაამართლა, ხოლო უ. სიმბოსკის გადაუწყვიტა შვიდი დღით დატუსაღება.

⁂ ამავე გაზეთში ვკითხულობთ შემდეგ ახირებულ ამბავს:

„ქართულ გაზეთებში რამოდენჯერმე ს. მეჯვრის-ხევიდამ იყო წერილები, რომლებშიაც ავტორები აძაგებდნენ, ლანძღავდნენ საზოგადოებას.

აქაურმა თავად-აზნაურობამ გაიგეს ესა და შეექნათ ერთი ამბავი! — ვინ გაბედა? — ვინ დასწერა? — ვინ გვლანძღავსო? დაიწყეს ყვირილი და ბოლოს გადასწყვიტეს დასაჯონ იმათი ცუდი ყოფა-ქცევის გამომჟღავნებელი.

„დაუწყეს ძებნა ავტორს. ეჭვი აიღეს სოფლის მასწავლებელზედ. ბოლოს, ამ თვის 15-ს, დაითრო ერთი კაცი და ბევრი ძებნის შემდეგ წაატყდა ქუჩაში იმ მასწავლებელს, რომელსაც მრავალი საზოგადოების, თავად-აზნაურების, გლეხების და ქალების თანადასწრებით მივარდა გაელვებული.

„სანამ ეს შემოჰკრავდა მასწავლებელს, გაჩნდა ამისი 15 წლის ძმა, რომელიც მიეშველა თავის ძმას, დააყენა მოწინააღმდეგე და აი, ამ დროს, როცა უნდა დაერტყა მასწავლებლისთვის, ამან მოასწრო და თავგამოდებული მოწინააღმდეგე გაშხლართა მიწაზედ. ამ დროს დამარცხებულის ამხანაგებს უნდოდათ განეგრძოთ ჩხუბი, მაგრამ გამოჩნდა პატიოსანი პირნი, რომლებმაც დაამშვიდა აღელვებულები.

„აი ამგვარი შიში მოელის თფილისის გაზეთების კორრესპონდენტებს! იყურეთ ამის შემდეგ კორრესპონდენტობა!“ უმატებს „თფილისის მოამბე“.

⁂ ჩვენ მივიღეთ შემდეგი საჩივარი თფილისის წმ. გიორგის ეკკლესიის სამღვდელო პირებზედ:

— „ამას წინეთ ამ ეკკლესიაში ერთი იმერელი ჯვარს იწერდა. დანიშნულს დროს მოიყვანეს მეფე-პატარძალი დაპატიჟებულის ხალხით საყდრის კარებთან, მაგრამ ის იყო დაკეტილი, იმ მიზეზით, რომ კარის გასაღებს სთხოვდნენ.

— რამდენი გერგებათო? ჰკითხეს— ხუთი მანეთიო! ახლა თვითონ ეკკლესიაში მოუყვიდათ რაღაც ლაპარაკი. მღვდელმა მოიხადა შესამოსელი და გამოვარდა კარში; დარჩნენ სასძლოები შერცხვენილები. ბოლოს დიდის ხვეწნით დაიყოლიეს მღვდელი, აუსრულეს ყოველივე მოთხოვნილება და დაიწერეს ჯვარი. ამ დროს ხალხში დიდი ჩოჩქოლი, სიცილი და მღვდლის მასხარათ აგდება შეიქნა.

ეს არაფერი. ამავე საყდარში იმ კვირაშივე ერთი ქართველი კაცი იწერდა ჯვარს. ამასაც სანამ ხუთი მანეთი არ გამოართვეს საყდრის კარები არ გაუღეს. ხალხი მოგროვდა საყდრის გალავანში, ჰყვიროდა, იცინოდა, მასხარობდა. ამათაც ეღირსათ ჯვარის წერა, მაგრამ მხოლოდ ამდენი დავი-დარაბის შემდეგ.

„როგორ მოგწონთ ეს ამგვარი მოქმედება ჩვენი მღვდლებისაგან ქალაქ ალაგას, სადაც უფროსი წინ ეგულებათ? სწერს კორრესპონდენტი.

## წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო! მიეცით ადგილი ამ ჩემ წერილს თქვენს გაზეთში, რომელიც ყურადღების ღირსია როგორც თქვენგან, ისე სხვა მანდაურ რედაქტორებთაგან.

დღეს შევედივარ ერთ ჩემ ნაცნობთან და ვხედავ იმის სტოლზედ „დროებას“, „ივერიას“, „ობზორს“, „თფილისის მოამბეს“ და „კავკაზს“. აქვე სტოლზედ ეყარა ამ გაზეთების ბანდეროლები. უნებურად წავატანე ხელი ერთ ბანდეროლს და ვკითხულობ ზედ: „Обзоръ“. Ст. Каспи Амириндо Амилахвари. მეორეც ავიღე და ვკითხულობ: „Кавказъ“. Мировому посреднику Рачинскаго уѣзда II отдѣла და სხვ.

ერთის სიტყვით, არც ერთ ბანდეროლს კი ამ ჩემი ნაცნობის სახელი და გვარი, არც მისი ნათესავების არ ყოფილა მოხსენებული.

მე გამიკვირდა და ვკითხე—თუ საიდამ უშოვნია ეს სხვისი გაზეთები (უკანასკნელი №№ იყო-ქე,) და აი რა მითხრა: მე გავეცანი ერთ რაზსილნოს, რომელიც არიგებს გაზეთებს ჩვენ ფოშტაში და რადგან ეს გაზეთები თითოოროლი დღით მაინც რჩება აქ (ქუთაისის ფოშტაში), დამპირდა ის ჩემმა ახალ გაცნობილმა ყოველთვის მოდი და წაიღე გაზეთები. აი ეხლაც წაველ, დაუმალა ჩემმა ამხანაგმა, ფოშტაშიო, მივიტან ამ გაზეთებსო და სხვას ახალ მოსულს კი გამოვიტანო!...

ვინ იცის რამდენი ამისთანა ნაცნობები და მეგობრები ჰყავთ ჩვენს აქაურ გაზეთების დამტარებლებს!

ეჭვი არ არის, ამ გარემოებას უნდა მივაწეროთ, უფ. რედაქტორო, ის, რომ

ერთი ხელის-მომწერი ვერ გეტყვისთ თქვენ, რომ იმას სრულიად მიდიოდეს ნომრები მთელი წლის განმავლობაში. განსაკუთრებით სოფლელნი ხელის-მომწერნი.

მე მგონი ყურადღების ღირსი უნდა იყოს ეს ამბავი თქვენთვის.

ქუთაისელი

ქუთაისი, 14 აგვისტოს

# ომის შემდეგ

## ოსმალეთი

გაზეთს „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული შემდეგი ტელეგრამმა:

„დერვიშ-ფაშამ გამოუცხადა ბათუმის მცხოვრებლებს, რომ 15 აგვისტოს რუსები შევლენ ბათუმშიო. იმათ, ვინც არ ისურვებენ ბათუმში დარჩენას, გაეგზავნებათ გემები გასაყვანად“.

— ერთ უცხო ქვეყნის გაზეთში იწერებიან სტამბოლიდამ, რომ რუსები რაკი მიახლოვდებიან ადრიანოპოლს, გორნიზონს დასტოვებენ როდოსტოში, რომ შეჰკრან მსვლელობა მარმარილოს ზღვასთან.

## რუსეთი

„მეზენცოვის მკვლელი ჯერ არ არის დაჭერილი. იმისი გვარი იციანო. კიევში იმას მოუკლავს ჟანდარმის აფიცერი. მეზენცოვი სიკვდილის დროს ამბობდა, რომ სადღაც მინახავს ისაო. ეს მკვლელი ოთხი დღე ათვალიერებდა და კვალში უდგა თავის მსხვერპლსაო“ იწერებიან „მოსკოვის უწყებებში“

ამავე გაზეთში სწერია, რომ მეზენცოვის მკვლელის გვარი თუმცა არ იციან ჯერ, მაგრამ უეჭველია, რომ ის რუსეთში ახალი სტუმარი არ იქნებოდაო. თითონ შეფ-ჟანდარმს რამოდენჯერმე ენახა ის სიცოცხლეში, რის დასამტკიცებლათაც ის სიკვდილის ჟამს იგონებდა ხოლმე და ამბობდა:

„სად მინახავს მე ისა! სად ნავხე ისა?“

ამბობენ, მკვლელი დიდი ხანია ემზადებოდა იმის მოკვლასაო. ოთხივეჯერ, როცა დაუპირებია მოკვლა, ბაღთან ჰყოლია მშვენიერი ცხენი დამალული და მეოთხეთ, როცა მოუკლავს, იმ ცხენის წყალობით გაქცეულა და დამალულა. მეზენცოვს წინათვე რამდენჯერმე მიუღია წერილი, რომელიც ატყობინებდა მოკლავენო მაგრამ იმას ყურადღება არ მიუქცევია; „რისთვის უნდა მომკლანო“? ამბობდა ხოლმე.

# საგაასო

## პასუხი უფ. ნაშაგირდალს

უ. ნაშაგირდალი იწყებს თავის წერილს იმა ფაქტიდამ, რომელიც მთელმა საქართველომ უკვე იცის, ესე იგი რომ საცხენისის შკოლა ლეკების აჯანყების გამო თელავში გადმოიტანეს. ეს ცნობა მხოლოთ იმიტომ ჩაურთავს უ. კორრესპონდენტს, რომ მის კორრესპონდენციაში ერთი მართალი მაინც ჰყოფილიყ.

შემდეგ ამისა უფ. ნაშაგირდალს მიუყვია ხელი სიცრუისათვის. ის ამბობს სხვათა შორის:

„დირექტორისაგან დადებული არის, რომ სმატრიტელმა იყიდოს ხორბალი, დააფქვევინოს, გამოაცხობინოს და როგორიც თვითონ მიართოს პური, იგეთი ყმაწვილებსაც აჭამოს“ და სხვანი.

ეს დირექტორის მოწერილობა სიზმრათ უნახავს უფ. ნაშაგირდალს. თუ მართლა ეს მოწერილობა არის, უფ. ნიშაგირდალს თავის წერილში უნდა ეჩვენებინა თვით ნომერი და რიცხვი იმ მოწერილობის მიღებისა, რომლის ძალითაც ზედამხედველმა უეჭველათ ხორბალი უნდა იყიდოს და არა ფქვილი, თუნდ ეს უკანასკნელი იაფიც იყოს. თუ სიტყვით არის ეს ბრძანება დირექტორისაგან, ვისთან იყო ნათქვამი და როდის? ან განა გონიერი კაცი მისცემს ამ გვარს ბრძანებას ზედამხედველს და შეავიწროვებს მის თავისუფლებას? მაშ ამ მოწერილობის ძალით ზედამხედველს არა აქვს უფლება იქონიოს თავისი ფულით, თუ შეძლება აქვს, თავისთვის გამტკიცული პური, რადგანაც მაშინ ვალდებული ხდება შეგირდებსაც იგეთივე პური აძლიოს? მაგრამ შეგირდებსაც რომ გამტკიცული პური აჭამოს მაშინ ყოველ საგანზედ თოთხმეტი კაპეიკი სამყოფი იქნება დღეში თითო შეგირდისათვის და ორი შაური ბიჭებისათვის? . . .

რომ ყმაწვილებისათვის გაუცრელის, ვითომ, პურის ძლევა სიცრუეა—ამაში ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, ვინც

# ფელტონი

## არტაანული ფელტონი

შკოლური ცხოვრების მოგონება.— რომელი ზმნა უფრო ბევრად იუღლება? ვირთაგვების გრამატიკა.—თევზების თხოვნა ყადისადმი.

კაცი, რამდენიც ღრმად შედის ცხოვრების ასპარეზში, იმდენად სასიამოვნო მოსაგონი ხდება იმის შკოლური ცხოვრება; რამდენჯერაც მოიგონებს, იმთონჯერ ამოიოხრებს ის—გეგონება რაღაც ძვირფასი საგანი დაუკარგავსო.

მოვიგონებ ხოლმე ჩემს საწყალს შკოლურ ცხოვრებასაც და მეც გულიანად ამოვიოხრებ! თუმცა ჩემ შკოლურ ცხოვრებაში სასიამოვნო არაფერი ყოფილა უსიამოვნების მეტი, რადგან ბოროტმოქმედებას დიდი ადგილი ეჭირა: ჩვენ-შაგირდები ვცდილობდით, რაც ღონე და ძალი გვქონდა, მასწავლებელი მოგვეტყუილებინა და მასწავლებელიც თავის მხრით ცდილობდა მოეტყუილებინა ხალხი, თუმცა ასე მიდიოდა ჩვენი მოძღვრების მავალი გზის ჩვენება;—მაგრამ მაინც სიამოვნებით მოვიგონებ ხოლმე: როგორ ჩვენი ქართული ენის მასწავლებელი შემოვიდოდა და დაიძახებდა: „აბა, ბიჭებო, ჩაკანკლეთ ერთი!“ (მაშინ კანკლედობასაც ვსწავლობდით!), და როგორ ქართველები ცალკე, სომხები ცალკე გავიყოფებოდით და ერთმანერთს თოვლა-გუნდით ცხვირ-პირს ვამტვრევდით და იმ დროს ჩვენს ზედამხედველს, თუმცა პირად არა, მაგრამ გულში იამებოდა.... (ის ჩვენგანი არ იყო)

იმ დალოცვილი დროს მოგონებით და იმაზე ლაპარაკით დავდიოდით მე და ჩემი ერთი, სკამის ამხანაგი და ლაპარაკში რომ გადაველით ღრამატიკის განხილვაზე, მე ვკითხე ჩემს მობაასეს:

— რომელი ზმნა უფრო ბევრად იუღლება ახლა?

— ოთხი ზმნაო: „ვპარავ, ვატყუილებ, ვკვდები და შევიძინო“, მიპასუხა. იმისთანა დროა ახლა, რომ ყველა კაცი იმასა ცდილობს, როგორ მოიქცეს, რომ ბევრი და ბევრი შეიძინოს. ეს ოჯახქორი ადამიანის თვალი, ხომ თავის დღეში არ გაძღება—სულ იმაზე იჭყიტება, რომ დაუბოლოებლად შეიძინოს. სიზმარში და ცხადში სულ იმას ვაგორებთ: შევიძინო და შევიძინოთ!

ადამიანიშვილის, თითქმის, მეოთხედი ნაწილი, ზოგი ავათმყოფობით, ზოგი დარდით და ზოგი გასაქრობი სიყვირულით—სულ ავათ არიან და ხშირად გვესმის—ვკვდები! ვაი ვკვდები, ვკდები!

ვატყუილებ! თქვენი ჭირიმე, ამაზე მეტი რა იუღლება? ვისთანაც რაზეც გინდა იყოს—საქმე დაიჭირო, ვინც გაიმეგობრო, იცოდე პირველი და უმთავრესი მიზანი ის არის: როგორ მოვიქცე, რომ მოვატყუილოო... ამასაც ხომ გულში მრავალჯერ ვიმეორებთ: აბა, დღეს რამდენი კაცი დავატყუილო?!

ამეებზე კი ბევრს ვერ მოგახსენებთ, მაგრამ, როგორც ამბობენ ვირ-თაგვებს ჰქონია ერთი ღრამატიკა და იმაში მარტო ეს წერებულა:

„მე ვპარავ, შენ ჰპარავ,
იგი ჰპარავს, ბრძანებითი } ჰპარეთ!
ჩვენ ვპარავთ, თქვენ ჰპარავთ, } ჰპარონ!..
იგინი ჰპარავენ....“

ბ. ბავრელი

ქ. არტაანი, 12 აგვისტოს.

კი ისურვებს ჩემდა რწმუნებულს შკოლაში მოსვლას. მსურველთ შეუძლიანთ დასარწმუნებელად თვით შეგირდებს გამოჰკითხონ, რომ შეგირდებს არ ეძლევათ იგეთი უვარგისი პური, როგორსაც უფ. ნაშაგირდალი იხსენიებს.

რადგანაც სასწავლებელს სახეში აქვს, რომ საქართველოს შკოლებისათვის უპირატესი მნიშვნელობა აქვს პურსა, ამისთვის იგი მომეტებულს ყურადღებას ყიდვის დროს აქცევს ფქვილის ღირსებაზედ და პურის მომზადებაზედ და გამოცხობაზედ; იმისთვის ის ნაკლულევანება პურისა, რომელიც არის კორრესპონდენტისაგან დაწერილი, არის სრულებით სიცრუვე.

ხორაგის ხარისხზედ და რიცხვზედ არაფერი ცვლილება არა ყოფილა-რა მთელის წლის განმავლობაში. როგორს და რამდენსაც წლის დასაწყისში საცხენისიდამ თელავში ახლად გადმოსვლის დროს ეძლეოდა შეგირდებს, იგეთივე და იმდენივე ეძლეოდათ შემდეგშიაც და ეძლევათ ამ ჟამათაც. თითო შეგირდს ეძლეოდა და ეძლევა ყოველთვის ½ გირვ. ხორცი, თუ მეორე ბლუდი შესდგებოდა ხორბლის ანუ ფქვილეულის სიჭმლისაგან; და თუ ორივე ბლუდი ხორაგეულისაგან, მაშინ თითო შეგირდს მოსდის ¾ გირ. ხორცი. თუ უფ. ნაშაგირდალს ოდესმე უნახამ სუფი და ვერ შეუნიშნავს ვერც ერთი მარცვალი ბრინჯი, უეჭველია, იგი ან ბრმა უნდა ყოფილიყო და ან განგებ უნდა დაეხუჭა თვალები, თორემ როგორ ვერ უნდა დაენახნა სუფში ბრინჯი, როდესაც 23 შეგირდისათვის მომზადებულს საჭმელში მუდამ ერევა ორი გირვანქა ბრინჯი.

რაც შეეხება ჩაიზედ მოხსენებულს 15-ს შეგირდზედ ცალკე ჩაინიკში იხარშება თითო სტოლის კოვზი სავსე და არა ორი ჩაის კოვზი—25-ს შეგირდისათვის, როგორც ამბობს კორრესპონდენტი; ხოლო შაქარი თითვეულს შეგირდს კანონის ძალით ეძლევა თვითო ლოტი სტაქანზედ.

დანარჩენ ხორაგეულობაზედ უფ. ნაშაგირდალი არას ფერს არ ამბობს, მაშასადამე იგი ამაზედ კმაყოფილია.

თუ თქვენ, თფ. ნაშაგირდალო, გაგიგონიათ, რომ ჩემგნით მოხსენებულს ხორაგიულობას ხოლოთ სიტყვით, ქაღალდზედ ვაძლევ შეგირდებსა, შეგიძლიანთ მობრძანდეთ, რა დროსაც გნებავთ შკოლაში და თქვენის თვალით განიხილოთ და დარწმუნდეთ, რომ თვით მეთვალ-ყურე (дежурный) შეგირდი თითონ გაყვება მზარეულს ბაზარში და თვითონ ყიდულობს ხორაგს დილით 6 საათზე; აგრეთვე მომზადების დროს იგივე შეგირდი აძლევს ხორაგს საკუჭნაოდან და ადევნებს თვალ-ყურს, რომ მზარეულმა სულ მთლად ხასყიდი ხორაგი მოამზადოს შეგირდებისათვის და არ მოიპაროს თავის თავის სასარგებლოთ. აგრეთვე იმასაც ნახავთ, რომ ეს თვალ ყურის მგდებელნი შეგირდები თითონ სწერენ—სად, რას და რამდენსაც ყიდულობენ დაწესებულს დავთარში.

ნუ თუ ესე შეგირდები თავის სარგებლობისათვის მეტ ნაკლებს დასწერენ? ნუ თუ იგინი მისცემენ მზარეულს ნებას, რომ მან შეგირდების კუთვნილებიდგან აიღოს თავისთვის ანუ ზედამხედველისათვს?

თ. ტ. მაყაევის სახლი 8 ოთახიდგან შესდგებაო; 8 ოთახიდგან კი არა—16 ოთახიდგან შესდგეგება, რომელთაგანაც ოთხი ზედამხედველს უჭირავს, სამი მასწავლებელს, და დანაშთენში პანსიონი იმყოფება. შემდეგ ამისა საზოგადოება ვგონებ, ცხადად გასჯის: შეგირდებს ექნებათთუ არა თავის შესაფერი ადგილი.

უფ. ნაშაგირდალი ამბობს, რომ შეგირდები ფეხშიშველნი დაგლეჯილის ტანისამოსით დარბიან მზეშიო და ზედ დაურთავს, რომ შეგირდები უზედამხედველოთ და უყურადღებოთ იმყოფებიანო მთელი დღეო. მაშ რაღათ ამართლებს უფ. ნაშაგირდალი მასწავლებლებს, როდესაც იგინიც მოვალენი არიან შაგირდებზედ იქონიონ ზედა მხედველობა? აქ შემთხვევაში როგორც ზედამხედველი, იგრე დანაშთენნი მასწავლებლებიც უნდა იყვნენ დამნაშავენი, რადგანაც როგორც პირველი, აგრეთვე მეორეებიც ეწევიან ზედამხედველობას და მისთვის ჯამაგირსაც იღებენ. მაგრამ ეს სრულებით ისეთი სიცრუვეა, როგორც სხვა საგნების შესახები სიტყვები.

ივნისამდინ შეგირდები დადიოდნენ ცხელ აბანოში თვისა-და-თვის თავზედ და ეხლაც ისევ დადიან ისევ ცხელს აბანოში; გარდა ამისა ივნისიდან ცივ აბანოშიაც ყოველ კვირას დაიარებიან შეგირდებს როგორც პირველს შემთხვევაში, აგრეთვე მეორეშიაც მიჰქონდათ და მიაქვთ ხოლმე საკმაო საპონი. საცვალს როგორც ტანისას, აგრეთვე ქვეშაგებელსაც, შეგირდებს უცვლიან ყოველ კვირასა—შაბათობით. ყოველ შაბათობით კარგს ამინდში შეგირდებს მეჯერის ზედამხედველობით გამოაქვთ თავისი ლოგინი გარეთ ეზოში გასამზეებლად, სადაც რჩება მთელი დღე დილიდგან საღამომდინ; საღამოზედ გაბერტყვის შემდეგ ქვეშსაგები კვალად შეაქვსთ საწოლს ოთახში თავთავის ადგილს. ოთახების იატაკები ყოველდღე იწმინდება სველის ტილოთი და კვირაში ერთხელ ირეცხება წყლით.

ამის შემდეგ ყველა დაგვეთანხმება, რომ ამ გვარად მოვლილს და სუფთათ შენახულს ოთახებში რწყილები არ უნდა იყვნენ, თუმცა მათი აღმოფხვრა სრულიად ძლიერ ძნელია. როდესაც უ. ნაშაგირდალი ამართლებს (უთუოთ დაავიწყდა რომ ზემოთ გაამტყუნა მასწავლებლები) მასწავლებლებს იგი ამით ცუდს მეგობრობას უწევს ამათ: მასწავლებლები მას გამოჰყავს იმ გვარად, ვითომც მათ არ ესმოდესთ თავიანთი დანიშნულება და მოვალეობა; თუ მასწავლებლები ხედავენ ზედამხედველში რომელსამე უკანონობას, მაშ რატომ არ უცხადებენ იგინი ამას ვისდამე [illegible] არს და თუ ზედამხედველი უყურადღებოთ სტოვებს მასწავლებლების შენიშვნას, მასწავლებლები უფრო ვალდებული არიან მოახსენონ უმაღლესს მთავრობას ზედამხედველის უკანონოს ქცევაზედ. თუ მასწავლებლებს მოუხსენებიათ უკანონოთ ქცევა თავისის ზედა მხედველისა და მთავრობას ყურადღება არ მიუქცევია, მაშინ უ. ნაშაგირდალს ნება ჰქონდა ამაზედაც ეთქვა რაიმე.

რაც შეეხება სამის ზედამხედველის არსებობას საცხენისის შკოლაში და ნათესაობის შენახვას ზედამხედველისაგან, როგორც ამბობს უფ. ნაშაგირდალი, მე ამაზედ ვიტყვი ხოლოთ მას, რომ ამ საგანზედ გავრცელება შეურაცხყოფაა როგორც ზედამხედველისათვის, აგრეთვე მასწავლებლებისათვისაც ამ საგანზედ შეხება უფ. ნაშაგირდალისაგან ამტკიცებს მის ზნეობის დამხობას.

თელავი, 14 აგვისტოს

ზედამხედველი საცხენისის შკოლისა

ა. დ. უარაქეშიშოვი.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და თელავს—სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან

„ბატონიშვილი ირაკლის
პირველი დრო
ანუ თავდადება ქართველთა“

ტრაგედია ოთხ მოქმედებად, თხუზ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ზიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში—და თელავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან ახალი წიგნი.

## ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძესი, ივანე კერესელიძესი, იოსებ ბაქრაძესი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული
ზაქარია ჭიჭინაძისა
ფასი ორი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

## „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

## მიხელსონის სტამბაში,

რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლში, მიღებულია ყოველ ნაირი **ახალი ქართული შრიფტი,** ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ.

---

ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში, ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, **ისყიდება** რუსულს ენაზე დაწერილი წიგნი **„ბატონ-ყმობის უფლება საქართველოში“** („Крѣпостное Право въ Грузіи“). თითო წიგნის **ფასი თხუთმეტი შაური,** გაგზავნით ოთხი აბაზი.

---

ვისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი კევრი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიშვილს, (პესკიაში, ელისავეტინსკი-ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კევრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

---

**გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:**

## „ნინო“

მოთხრობა თავადი რაფიელ ერისთავისა.

**ფასი 15 კაპეიკი**

---

იქვე ისყიდება იმისივე

## „იგავ-არაკნი“

გამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისდამ“ და გალექსილნი თ. რაფ. ერისთავისაგან.

**ფასი ორი შაური.**

---

## ბიბლიოგრაფიული ცნობა

დაიბეჭდა და ისყიდება **„პატარა ბიბლიოთეკა“**, წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა, ი. გოგებაშვილის რედაქციით.

**ფასი ორი შაურია,** მაგრამ ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპეიკათ სახალხო შკოლებს, როცა ერთათ იყიდიან ოც-და-ათ ეგზემპლიარს ნაღდ ფულზედ და კერძო პირებს ასს ეგზემპლიარს თუ ერთათ წაიღებენ.

წიგნი ისყიდება გამომცემლის სოლომონ ვართანოვის წიგნის მაღაზიაში. (10—5)

---

## ორ-კლასიანი სასწავლებელი და პანსიონი ა. ჭიჭინაძისა ქ. ქუთაისში.

ა). **ყმაწვილები მიიღებიან 25 აგვისტოდამ დაწყებული 15-ს სექტემბრამდის.** ვინც დაიგვიანებს, უნდა გამოიცადოს; თუ არ ეცოდინა, რაც უკვე გავლილი იქნება სასწავლებელში, არ მიიღება.

ბ). **სწავლების ქირა** მოსიარულე ყმაწვილს, რომელიც პირველ (მოსამზადებელ) კლასში იქნება მიღებული, გადახდება 50 მანეთი წელიწადში და მეორე კლასის (პირველს)—60 მანეთი.

პანსიონერს პირველი კლასისას გადახდება 250 მანეთი და მეორისას 260 მანეთი. პანსიონერს უნდა ექნეს თავისი: ტანისამოსი, ქვეშსაგებ-ზედსახურავი, ცრავატი და სასწავლო ნივთები.

გ). პანსიონში მიიღებიან მხოლოდ იმისთანა ყმაწვილები, რომელნიც ჰსწავლობენ ამ ორ-კლასიან სასწავლებელში. სხვა სასწავლებელთა ყმაწვილებისათვის ბინა არ იქნება.

დ). როგორც ქრისტეს შობის და აღდგომის დღესასწაულობისათვის, აგრეთვე საზაფხულოთ, როგორც სახელმწიფო სასწავლებლებშია, ყმაწვილები დათხოვნილნი იქმნებიან; პანსიონერები საზაფხულოთ არ დაიტოვებიან პანსიონში.

ე). ზემოაღნიშნული ქირიდამ არ გამოირიცხება ფული მისთვის, რომ ყმაწვილები აღნიშნულ დროებში დათხოვილები იქნებიან; არც იმისთვის გამოირიცხება ფული, რომ ყმაწვილი ავათმყოფობის გამო ანუ სხვა მიზეზისა გამო კლასს დააკლდეს.

**სწავლების ქირა უნდა იქნეს შემოტანილი ნახევარ წლობით წინ-და-წინ:** პირველი ნახევარი ყმაწვილის შემოყვანისა-თანავე, სექტემბერში, და მეორე ნახევარი—იანვარში. (5—5)

| რკ. გზა. | დილ. | | საღ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 5 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 5 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთს, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნი | 4 |
| დაბეჭდილის (ათი მისხალი) | 8 |

| მაზანდა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ტფილისი, 18 აგვისტ. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯ. სა, ფუთ. | 2 | — |
| ფქვილი წითელი | 1 | 60 |
| ქერი ფუთი | 1 | 35 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი | 8 | 50 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი | 8 | 30 |
| — თარაქამისა ფუთი | 4 | 40 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი | 5 | 60 |
| ქონის სანთელი ფუთი | 8 | 80 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| — ცხვრისა, ლიტრა | — | 90 |
| სპირტი ვედრო | 5 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 60 |
| — ფხვნილი ფუთი | 5 | 60 |
| ყავა გრგვილი, გირვ. | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 13 | 50 |
| თამბაქო, სუხუმის ფთ. | 12 | — |

**ტფილისის სამკურნალო**

ერევნის მოედანზე, წ. ნამძღვრობის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 8 საათიდამ 10-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბალევიჩი—შინ. გ. ავთ., ქირურგიული—თვალისა და ხირურგიული.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინ. გ. ბაქსტი ვენერიულის და კანის, ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეტუნოვი—თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი შინაგანი, ბაქსტი—გულის და ნერვების.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინ. გ. ბაქსტი გულის, ქირურგიული—სიფილიტიკური და საშვილოსნო ორგანების, ა. ბახუტოვი—ქალის და ნერვების.

პარასკევს: ვერმიშევი—შინ. გ., ა. ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინ. გ., ბაქსტი-გულისა და პეტუნოვი—თვალის.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Августа 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.